

## ქულათა ტოლობისას გუნდების კლასიფიკაციის სისტემა

რამდენი სპორტივთა, ქვეყანაც, ლიგა თუ შეჯიბრი -- მთლად მაგდენივე ვერა, მაგრამ მაინც ერთობ მრავალ'ფეროვოვანი კია თაი'ზრეიქის -- ქულათა ტოლობისას "გუნდების კლასიფიკაციის" | "ადგილების განაწილების" სისტემები

საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საშეჯიბრო დებულებებში 2010 წლიდან თაი'ზრეიქის ერთი და იგივე სისტემა ჩაწერილი -- მცირედი ვარიაციებით

ბოლო დროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ გუნდები მთლად სწორად ვერ ჩასწვდომიან ამ სისტემის არსს, რამაც სავალალო გაუგებრობანი გამოიწვია

ამიტომ ჩვენში მოქმედ სისტემას აქ კიდევ უფრო ზუსტად ვაყალიბებთ

ამიერიდან ეს ფორმულირება სძალავს აქამდე გამოცემულ ნებისმიერ სხვა საბუთში მოტანილს

### 15'კაცა რაგბი

თუ "წრიულ ეტაპზე" | ჯგუფში | პულში

რამდენიმე -- ორ ან მეტ -- გუნდს

"საცხრილო ქულა" ტოლად მოუგროვდა,

მათი კლასიფიკაციისთვის დგება "დამატებითი ცხრილი"

(1) ამ, დამატებით ცხრილში შედიან მხოლოდ ის გუნდები, რომლებსაც ქულა ტოლად დაუგროვდათ

(2) ცხრილში მარცხნიდან მარჯვნივ -- პრიორიტეტის კლებით -- იწერება შემდეგი მონაცემები:

ა) მხოლოდ ამ (ანუ ტოლ'ქულიანი) გუნდების ურთიერთ'შეხვედრებში -- მოგროვილ "საცხრილო ქულათა" ჯამი

ბ) მხოლოდ ამ გუნდების ურთიერთ'შეხვედრებში -- გატანილი და გაშვებული "რაგბული ქულების" სხვაობა

გ) მხოლოდ ამ გუნდების ურთიერთ'შეხვედრებში -- გატანილ და გაშვებულ ლელოთა სხვაობა

დ) მთელ "წრიულ ეტაპზე" (ანუ ყველა მონაწილე გუნდის წინააღმდეგ) -- გატანილი და გაშვებული "რაგბული ქულების" სხვაობა

ე) მთელ "წრიულ ეტაპზე" -- გატანილ და გაშვებულ ლელოთა სხვაობა

ვ) მთელ "წრიულ ეტაპზე" -- მიღებული "წითელი ბარათების" რაოდენობა

ზ) მთელ "წრიულ ეტაპზე" -- მიღებული "ყვითელი ბარათების" რაოდენობა

(3) ა) - ე) მონაცემებში უმჯობესია "მეტი", ვ) - ზ) მონაცემებში უმჯობესია -- "ნაკლები", და ვინც სჯობს, იმ გუნდს უკეთესი ადგილი მიეჩინება

(4) კლასიფიკაციისთვის ამ, დამატებითი ცხრილის გავლა ხდება მხოლოდ ერთხელ -- მარცხნიდან მარჯვნივ, უკან დაუბრუნებლად

(5) ცხრილის გავლა იწყება ა) მონაცემით

(6) თუ მორიგი მონაცემი საკმარისია გუნდების თუნდაც ნაწილის კლასიფიკაციისთვის -- ამ გუნდებს მიეჩინებათ სათანადო ადგილები

(7) თუ მორიგი მონაცემი ვერ კმარა ზოგიერთი გუნდის კლასიფიკაციისთვის -- გადავდივართ შემდეგ მონაცემზე და ვასრულებთ (6) მუხლს დარჩენილი გუნდებისთვის

(8) გავლა სრულდება მაშინვე, როგორც კი ყველა (ტოლ'ქულიან) გუნდს მიეჩინება თავ-თავისი ადგილი

(9) თუ ზ) მონაცემის შედარების შემდეგაც გუნდების ნაწილის ვერ მიეჩინა ადგილი -- მათ შორის მოეწყობა წილის'ყრა

## მაგალითი

სამმა გუნდმა 10-გუნდა ერთწრიან შეჯიბრში დააგროვა ტოლი ქულა, მათი ურთიერთშეხვედრები კი ასე დასრულდა:

თეთრები > მწვანეები 30:6 ლ 2/0, მწვანეები > ლურჯები 16:0 ლ 1/0, ლურჯები > თეთრები 14:6 ლ 1/0  
აქ "დამატებითი ცხრილი" შედგება ასე:

გუნდი	ა)	ბ)	გ)	დ)	ე)	ვ)	ზ)	ადგილი
თეთრები	4	+16	+1	+38	+5	0	6	I
მწვანეები	4	-8	-1	+43	+3	1	9	III
ლურჯები	4	-8	=0	+11	-1	0	6	II

ვიწყებთ (5) მუხლით:

ა) მონაცემი ვერ კმარა კლასიფიკაციისთვის; ამიტომ (7) მუხლით გადავდივართ ბ) მონაცემზე;

ბ) მონაცემით -- (6) მუხლით -- თეთრებს მიეჩინათ I ადგილი;

მწვანეები და ლურჯები ჯერაც ტოლად არიან -- ამიტომ (7) მუხლით გადავდივართ გ) მონაცემზე;

გ) მონაცემით -- (6) მუხლით -- ლურჯებს მიეჩინათ II ადგილი, მწვანეებს კი III ადგილი;

ამით -- (8) მუხლით -- გავლა დასრულებულია, რადგან ყველას მიეჩინა თავ-თავისი ადგილი

## 7'კაცა რაგბი

ლოგიკით, წინ არაფერი უნდა ედგას 15'კაცა რაგბის თაიბრეიქის 7'კაცაში გადმოტანას

მაგრამ საქმეც ისაა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში -- რომლებშიც ჩვენი 7'კაცა და 7'ქალა სისტემატურად მონაწილეობენ -- ოდნავ გადასხვაფერებული სისტემა მოქმედებს

ამდენად, შინაურ 7'კაცაქალაშიც უპრიანია ამ "საერთაშორისო სისტემის" დაკანონება

მის თანახმად,

(1) თუ ჯგუფში | კულში "ტოლი ქულა" მოუგროვდა ორ გუნდს -- უკეთესი ადგილი მიეჩინება მათი ურთიერთშეხვედრის გამარჯვებულს

(2) თუ ეს ურთიერთშეხვედრა დასრულდა ფრედ, ან "ტოლი ქულა" მოუგროვდა ორზე მეტ გუნდს -- პირდაპირ დარდება "დამატებითი ცხრილის" დ) - ზ) მონაცემები -- ამ მონაცემთა კრებული და პრიორიტეტული რიგიც ხშირად სხვადასხვაა

(3) ჯგუფური ეტაპის შემდეგ -- პლეი'ოფისთვის თუ შესადგენია ერთიანი განთესვა, მაშინ სხვადასხვა ჯგუფელთა კლასიფიკაციისთვის დარდება

ა') ჯგუფში დაკავებული ადგილი,

ბ') ჯგუფში მოგროვილი "საცხრილო ქულა" და

მერეღა გ') = "დამატებითი ცხრილის" დ) - ზ) მონაცემები

## განმარტებანი

საცხრილო ქულა (მოკლედ "ქულა"): მოგება 4, ფრე 2, ბონუსი 1, წაგება 0, დაქვითვა -ქ "მინუს ამდენი და ამდენი"

რაგბული ქულა (მოკლედ "ბურთი"): ლელო 5, ჯარიმა | არეკნი 3, გარდასახვა 2

ანგარიში იწერება ასე 0:0 (ქულებს მიჯნავს ორწერტილი),

ლელოთა ბალანსი კი ასე 0/0 (ლელოებს მიჯნავს სლეში | დახრილი ხაზი)